№ 225
სამშაბათი, 25 ოკტომბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 225
სამშაბათი, 25 ოკტომბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**კნეინანი სოფიო ნიკოლოოზის ასული მიქელაძისა; ფეოდოსია ნიკოლოოზის ასული გუგუნავასი, კნიაჟნა ელენე ნიკოლოოზის ასული ლორთქიფანიძისა, სიმონ ნიკოლოოზის ძე ლორთქიფანიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა **თ. ანტონ ნიკოლოოზის ძის ლორთქიფანიძისას** და სთხოვენ მობრძანდნენ დღეს სამშაბათს 25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, „საიზნაურო ნომრებში", ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სადაც იქმნება გარდახდილი პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, და შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ ტფილისის რკინის გზის სადგურზედ ქუთაისში წასასვენებლად. ხოლო დაასაფლავებენ ქუთაისში 27 ოქტომბერს. (1—1797—1)

## „ივერია"

გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტფილისი,**
**„ივერიის" რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

30 ოქტომბერს, დილის ათს საათზედ უნდა მოხდეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა განსაკუთრებული კრება ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სადგომში სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსების საქმის განსახილველად.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აუწყებს რა ამას თავად-აზნაურთ, სთხოვს მობრძანდნენ ზემოხსენებულს კრებაზედ. (3—უ.—1)

## დეპეშა

21 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესი მანიფესტი: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხ., და სხ., და სხ., ვუცხადებთ ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა: ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა ინება მიუწდომელის განგებითა თვისითა შეეწყვიტა ძვირფასი სიცოცხლე დიდად საყვარელისა მშობლისა ჩვენისა, ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა; მძიმე სნეულება ვერ დასძლია ვერც წამლობამა და ვერც ყირიმის მარგებელმა ჰავამ, 20 ოქტომბერს იგი გარდაიცვალა ლივადიაში მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცას და ჩვენს ხელზედ, ოდეს მთელი მისი სახლობაც გარს ეხვია. ჩვენი მწუხარება სიტყვით არ გამოითქმის, მაგრამ ამას ყოველი რუსის გული მიხვდება, და გვრწამს, რომ ჩვენს ვრცელსა და დიდს სახელმწიფოში ისეთი ადგილი არ იქნება, სადაც მდუღარე ცრემლი არ ილვრებოდეს ხელმწიფისათვის, რომელმაც უდროოდ განისვენა საუკუნოდ და დასტოვა სამშობლო მიწა, მიწა, რომელიც სრულის გულით უყვარდა, რამდენადაც-კი შეუძლიან რუსის გულს სიყვარული, რომლის კეთილ-დღეობასაც სწირავდა ყოველს თავისი გულის ზრახვას და არ დაუშურავს არც ჯან-მრთელობა თვისი, არც სიცოცხლე; და არა თუ მარტო რუსეთში, არამედ იმის საზღვრის უშორეს ადგილებშიაც არასოდეს არ მოიშლიან პატივისცემასა და არ დაივიწყებენ იმ მეფეს, რომელმაც განახორციელა შეურყეველი სიმართლე და მშვიდობიანობა ყოვლად დაურღვეველი იმისის მეფობის განმავლობაში. აღსრულდესმცა, წმიდა სურვილი უზენაესისა, განგვამტკიცოსცა შეურყეველმა რწმენამ ციურ განგების ყოვლად სიბრძნისამ განუგეშოსცა, იმ ამბავმა, რომ მწუხარება ჩვენი, საერთო მწუხარებაა მთელის ჩვენის საყვარულის ერისა. ნუ დაივიწყებს იგი, რომ ძლიერება და სიმტკიცე წმიდა რუსეთისა მდგომარეობს ჩვენთან ერთობაში და ჩვენდამი ერთგულებაში. ჩვენ-კი ამ სამწუხარო, ხოლო დიდებულსა საათსა რუსეთის იმპერიისა, და მასთან განუყოფელ პოლონელთა სამეფოსა და ფინლიანდიის სამთავროს ჩვენთა მამა-პაპათა ტახტზედ აღვსლისას გვაგონდება ანდერძი განსვენებულის მშობლის ჩვენისა და, განვიმსჭვალენით რა ამა ანდერძით, წმიდა აღთქმასა ვსდებთ ყოვლად უზენაესისა წინაშე ყოველთვის საგნად გვქონდეს მშვიდობით წარმატება, ძლიერება და დიდება ძვირფასის რუსეთისა და ბედნიერება ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა. ყოვლად შემძლებელი ღმერთიმც დაგვეხმარება, ღმერთი, რომელმა მოგვიწოდა ჩვენ ამა დიდისა სამსახურისათვის. აღვავლენთ რა მხურვალე ლოცვასა ყოვლად მპყრობელისა ტრაპეზისა წინაშე, რათა მან მოანიჭოს განსვენება წმინდასა სულსა დაუვიწყარის ჩვენის მშობლისას, ვუბძანებთ ყველა ჩვენ ქვეშეურდომთა დასდონ ფიცი ერთგულებისა ჩვენისა და მემკვიდრესი ჩვენისათვის, მისის იმპერატორებითის უმაღლესობისა დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძისა, რომელიც უნდა იყოს და იწოდების მემკვიდრე ცესარევიჩად იმ დრომდე, ვიდრე ინებებს უფალი და მოგვანიჭებს ვაჟიშვილსა მომავალს ჩვენსა დ ჰესენდარმშტატელის პრინცესა ალისას ქორწინებაში. ბოძებულია ლივადიაში ქრისტეს შობიდგან ათას რვაას-ოთხმოც-და-თოთხმეტსა წელსა, ხოლო მეფობიდგან ჩვენისა პირველსა. ოცსა ოქტომბერსა". ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია „ნიკოლოოზ"...

22 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ყველა ქალაქის დაწესებულებანი, სასწავლებელნი დ სავაჭროები დაკეტილია; ხალხი ჰლოცულობს ეკკლესიებში; ყველგან ფიცსა სდებენ ხელმწიფე იმპერატორისა ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა და მემკვიდრე ცესარევიჩის ერთგულებისას. ყოველ უცხოელთა ჟურნალ-გაზეთობა იხსენიებს განსვენებულს იმპერატორს, ვითარცა ხელმწიფის და ადამიანის, მრავალს დიდს ღირსებას..

**ლივადია.** დღეს დილით იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის მამა-პაპათა სამეფო ტახტზედ აღსვლისა გამო მამის სასახლის ეკკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადა უფროსმა მღვდელმა იანიშევმა. ღვთის მსახურებას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, უავგუსტოესი მშობელი იმპერატორისა, საბერძნე

## ფელეტონი

**პასუხი „ქვალის" რაზმსა**

(წერილი მესამე)

გაათავა თუ არა სახელოვანი პოეტის შეცდომების დაცვა ჩვენმა ხალმა გრამატიკოსმა, გაიძრო ადვოკატის ფრაკი და შეიმოსა პროკურორის მუნდირით, რათა ბრალდებითი ოქმი წარმოეთქვა შესახებ ჩემის ცოდოებისა ქართულის ენის წინაშე. მაგრამ რავდენადაც სუსტი ადვოკატი გამოდგა, იმდენადვე უსამართლო პროკურორი აღმოჩნდა. არც მეტი და არც ნაკლები. გავიცნათ მისი ბრალდებითის ოქმის შინაარსი.

„დაუჯერეთ თქვენს პედაგოგსა" (ესე იგი მე), ბრძანებს იგი, გადმოასკუპეთ პირის მაჩვენებელი ელემენტები თავში და იხმარეთ ასე: ვადაწერ, ვადაწერე, ვადაწერო, ვაშეგინებ, ვაგაკეთებ და სხვანი". თუ წმინდა, ხალასი შარი არ გაგიგონიათ, აი ახლა იხილეთ და დასტკბით. მე არამც თუ ამისთანა უკიდურესი სისულელე არ მითქვამს, არამედ სრულიად წინააღმდეგი აზრი გავატარე ჩემს წერილში თვით იმ ოთულის ზმნების შესახებ, რომელნიც აღგიაროსავით იწყებიან თავსართით „ალ". სახელდობ, მე მოგახსენეთ, რომ პირის მაჩვენებელის გადმოსმა შუა ადგილიდგან წინ ზმნებში: აღშენება, აღფრენა და ხმარება მათი ამ სახით: ვაღაშენებ, ვაღაფრენ ძალდატანება იქმნება ყურისაც და თვალისაც და ამ ჟამად, ჩვენის ენის აწინდელს ფაზისში, უნდა ჩაითვალოს მოუხერხებლად და შეუძლებლად მეთქი. რისთვის მომიდო ამისთანა შარი? რასაკვირველია, იმისათვის, რომ ჩემი საგრამატიკო აზრები გაეთახსირებინა მკითხველის თვალში. მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთი გულ-მავიწყი როდი არის, რომ სახსოვრიდგან გაუქრეს დღეს, რაც გუშინ წაიკითხა. მკითხველს, უეჭველად, კარგად ახსოვს ჩემი ნათქვამი და ბ-ნი დოდაშვილის სიტყვები ასე აფიქრებინებს მიუცილებლად: რა უხეირო ყოფილა ეს ჩვენი ახალი გრამატიკოსი: ერთსა და იმავე დროს უცოდინარობაც დიდი გამოიჩინა და შარიანობაცაო.

მერმე, მიკიჟინებს ხმარებას შემდეგი სიტყვებისას: პედაგოგია, სტილის ფილოსოფია, საგრამატიკო ანალიზი, იმისთანა სიტყვებისას, რომელნიც ყოველ პერიოდულს გამოცემაში შეგხვდებათ დ რომელთაც ვერ ასცდებით საგრამატიკო ზაასში. და ვინ მიკიჟინებს? კალმოსანი, რომელმაც სახალხო გამოცემის მკითხველებს თავები გამოუსტერა: სუფისკაციითა, პრეფისკაციითა, ანგლომერაციითა, ინფიქსაციითა, დიფტონგებითა, ფრიფტონგებითა და ყოველი კისერ-სატეხი საფილოლოგიო ტერმინებითა, რომელნიც მხოლოდ იმისათვის არიან საჭირონი, რათა მკითხველს აცნობონ: ავტორი უბრალო ვინმე როდია, მას კარგად აქვს გაზეპირებული თვით ტერმინოლოგია ფილოლოგიისაო. აი ამასა ჰქვიან: სხვის თვალში ბეწვსა ხედავს, თავისაში ვერც დვირეს ამჩნევსო. რისთვის მოუნდა ზევით დასახელებული შარი და ეს სასაცილო კიჟინა? იმისათვის, რომ სულწასულობით მოიწადინა ერთის ჩემი ისრის უკან დაბრუნება, და რადგან ეს სიმართლით არ შეიძლებოდა, ხრიკს მიმართა. როგორც მკითხველს ეხსომება, მე ჩვენს პოეტს ვუსაყვედურე შესმენილის მხლებელის ბოლოდგან თავში გადასკუპება ვეებერთელა წინადადებაში და ვსთქვი: ეს იმასა ჰგავს: ხარს კუდი მოსჭრა და შუბლზედ მიაბა მეთქი. აი ამ ისრის უკან დაბრუნება მოინდომა ბ-ნმა დოდაშვილმა, დამაბრალა ხმარება „ვადაწერასი" და ასე დასკვნა: მკითხველისათვის მიგვნდია, იმან გასინჯოს, აკაკი, თუ სიმონიძე სჭრის კუდს ხარსა და შუბლზედ აბამს. მაგრამ ეს რომ შარიც არ გამომდგარიყო; მაინც უქმად ჩაივლიდა. თუნდაც რომ მე პირის მაჩვენებელის გადასმა თავში მერჩია, ეს კუდის მიბმა არ იქნებოდა შუბლზედ. ეს იქნებოდა, ბევრი—ბევრი, კისრის მობმა თავის წინ. ისარი დაბრუნებულად მაშინ ჩაითვლებოდა, მე რომ სიტყვის დაბოლოების გადმოტანა მომეხდინა მის თავში. ისარი, როგორც ხედავთ, ისევ იქ დარჩა.

მართალია, ჩვენა ვსთქვით: შეიძლება მომავალში ჩვენმა ხალხმა პირის მაჩვენებელი მეორე ადგილიდგან პირველს ადგილას გადმოიტანოს „აღგიაროს" მზგავსს სხვა ზმნებშიაც მეთქი; მაგრამ ეს სულ სხვა გახლავთ, და, გარდა ამისა, უკან მიგვაქვს ეს გიპოტეზა, რადგანაც უფრო ღრმად ჩაფიქრებამ ზმნების შენობაში დაგვანახვა, რომ „აღგიარებ" მხოლოდ გარეგნობით, ერთი შეხედვით ჰგავს იმ ზმნებსა, რომელნიც იწყებიან თავსართით: «აღ», და რომელნიც უთავსართოთაც სავსებით ხატავენ თავისს შემეცნებასა, როდესაც პირველი ზმნისათვის ეს მარცვალი უსაჭიროესს ნაწილს შეადგენს, როგორც ეს ცხად ვჰყავით წინა წერილებში.

ბ-ნი დოდაშვილი უკანონოდ რაცხს გამოთქმასა: მომაკვდავი ცოდო, და ძლევა მოსილობის კილო აი უხსნის მკითხველსა, აქ უნდა ყოფილიყო მომაკვდინებელიო.—ახსნა გამოდის გრძელი, ქართულს ენასაც აღარა სჭირდება, რუსულსაცა ხმარობს. სულ ტყუილად ხარჯავს ტყვია-წამალსა. საკმარისი იყო აღენიშნა ეს შეცდომა და ყოველი მკითხველი იმ წამსვე დაუჯერებდა. რომ დროს არ ვზოგავდეთ, ჩვენს ნაწერებში არა ერთს ადგილას მოვძებნიდით და დავასახელებდით, სადაც სწორედ ის ფორმაა ნახმარი, რომლის უცოდინარობას გვიკიჟინებს ჩვენი გრამატიკოსი. მაშ როგორ შეგვეპარა ჩვენ ეს შეცდომა? პოლემიკის დროს, მეტადრე როდესაც გებრძვის მთელი დასი, ყურადღება მიპყრობილი გაქვს საკამათო საგნის უმთავრესს მხარეებზედ და სიტყვების ხმარება უფრო მინდობილი აქვს კალმის წვერსა, რომელიც ერთი სიტყვის ნაცვლად ხანდახან ხმარობს მისს მახლობელს, ნათესავს სიტყვასა. ა მომივიდა მე ისა, რასაც რუსულად ОПИСКА-ს ეძახიან. მაინც და მაინც ეს უნდა ჩაეთვალოს ჩვენს გრამატიკოსს არა ბზედ და ღვარძლად, არამედ ფშუტა პურის მარცვლად. უფრო კიდევ ფშუტა თავთავს მოგვაგონებს დაწუნება ჩვენის ტერმინისა „გამომზევება". სამაგიეროდ, ნამდვილ პურის მარცვლად უნდა ჩაეთვალოს ბ-ნს დოდაშვილს „აღგიაროს" ძირად

თის დედოფალი, მეუღლე ედინბურკის დუკისა, უმაღლესად სახელ-წოდებული სასძლო, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი, უმაღლესის კარის წარჩინებულნი და ამალა.

**კილი.** პრინცი ჰენრიხ პრუსიისა პეტერბურგს მიემგზავრება.

**ბერლინი.** სამეფო თეატრები დღეს დაკეტილია; დადგენილია, რომ სასახლეში ოთხს კვირას იგლოვონ. დღეს დილით იმპერატორი, ფლიგელ-ადიუტანტის თან ხლებით, რუსეთის საელჩოში იყო თვისის სამძიმრის განსაცხადებლად და ელჩთან მთელს საათს დარჩა.

დღეიდგან დაწყებული საელჩოს ეკკლესიაში ყოველ დღე პანაშვიდი იქმნება გარდახდილი.

**ვენა.** ფიქრობენ, რომ გასვენებაზედ დასასწრებად წავა დუკი კარლ-ლუდვიგი, რომელსაც თან ეხლება დუკი ფრანცი დ'ესტე. იმპერატორმა განაცხადა თავისი ღრმა მწუხარება. გრაფი კალნოკი რუსეთის საელჩოში მივიდა და გადასცა თავადს ლობანოვს მხურვალე მონაწილეობა იმპერატორისა.

**კოპენჰაგენი.** მეფის სიკვდილის ამბავმა აქ განსაკუთრებული მონაწილეობა გამოიწვია; სამეფო გვარეულობა დიდად შეწუხებულია. ხელმწიფის გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად მეფე და პრინცი ვოლდემარი მიდიან.

**პარიზი.** სახელმწიფო შენობანი და ბევრი კერძო სახლი შემკულია საფრანგეთისა და რუსეთის ბაირაღებით, რომელთაც სამგლოვიარო ლენტები აქვთ გაკეთებული და ნახევრად ჩამოშვებულია; ნავთსადგურებსა და გემ-ხომალდებზედაც ბაირაღები ნახევარ ანძამდე არის ჩამოშვებული.

**პეტერბურგი.** ოფიციალური დეპეშა: იმპერატორმა ალექსანდრე ალექსანდრეს ძემ სული განუტევა მართლად, ისევე, როგორც სიცოცხლე მისი იყო მართალი, აღსავსე სარწმუნოებითა, სიყვარულითა და სათნოებით. რამდენისამე დღის წინად იგი უკვე ჰგრძნობდა მოახლოვებას სიკვდილისას და ემზადებოდა კიდეც, ვითარცა მორწმუნე ქრისტიანი, გარნა არცა ქვეყნის მმართვის საქმეების ზრუნვასა სტოვებდა; ორჯელ 9-სა და 17-ს ოქტომბერს, ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო წმ. საიდუმლო. არა სძინებიარა მთელს ღამეს, 20 რიცხვს დილით ადრე ღვთის მიერ განსვენებულმა იმპერატორმა იმპერატრიცას უთხრა: „ვგრძნობ, რომ აღსასრული მიახლოვდება, გულ-მშვიდად იყავ; მე სრულიად დამშვიდებული ვარო“ და, შემოიკრიბა რა გარს სახლობა თვისი, მოძღვარი მოიწვია და ეზიარა დიდის ლმობიერებით; ხმა-მაღლა, ყველას გასაგონად ამბობდა ლოცვას წმ. საიდუმლოს მიღებამდე; სავარძელში იჯდა და ხელმწიფეს არც ერთს წუთს არ დაუკარგავს ცნობიერება. წირვის შემდეგ დაიბარა მ. იოანნე და იმასთან ერთად ლოცულობდა. მერე ნახევარ საათის უკან, ისევ დაიბარა მ. იოანნე, რომელმაც კვლავ ილოცა, ზეთი სცხო, წმ. საიდუმლოთი აზიარა და იმასთან დარჩა მის გარდაცვალებამდე. ნაშუადღევის ორს საათზე ხელმწიფეს მაჯის ცემამ უმატა, თვალები გამოუცოცხლდა, მაგრამ საათის მეოთხედის შემდეგ თვალები დახუჭა, თავი გადიწია და ანდერძად დაუტოვა-რა თავისს ხალხს მშვიდობიანად და კეთილად ცხოვრება, სული ჩააბარა უზენაესსა.

**ბერლინი.** იმპერატორმა გუშინ იმპერატორი ნიკოლოოზ II გვარდიის გრენადერთა იმპერატორის ალექსანდრეს რაზმის შეფად დანიშნა.

**პეტერბურგი.** კუბო განსვენებული იმპერატორის ალექსანდრე III-ის ნაშთისათვის გაკეთებულია პეტერბურგს გამხმარს მუხისა ორფად, შიგნიდგან თითბერი აქვს გამოკრული; გარედგან გადაკრულ-გაკეთებული აქვს დაჭედილ ოქროს ფარჩა, ოქროს სირმა და სახელმწიფო გერბები; გარედგან კუბოს სახურავი გადაკრულია მოჭედილ ოქროს ფარჩით და შემკულია ოქროს ფოჩებით; კუწუბებში სახელმწიფო გერბებია გამოყვანილი; კუბოს დასასვენებელს ოქროს ფარჩა აქვს გადაკრული და ზედ იმპერატორის ხირლაა გადაფარებული, რომელსაც ოქროს ფარჩები აქვს ნაპირებზედ და იმპერატორის გერბები; ჯილდოთათვის ბალიშებსაც ოქროს ფარჩა აქვს გადაკრული. გუშინ საღამოს ნიკოლოოზის რკინის გზის მსწრაფლ-მოსიარულე მატარებლით კუბო, კუბოს დასასვენებელი და ჯილდოთათვის ბალიშები ლივადიას წაიღეს.

საზღვარ-გარეთიდგან მოვიდა დეპეშები, რომ ყველგან პანაშვიდს იხდიან, მგლოვიარობაა დაწესებული, სახლებსა და გემ-ხომალდებზედ ბაირაღებია ჩამოშვებული, თეატრები დაკეტილია, სამხედრო მუსიკა არ უკრავს; ყველგან დეპუტაციებს ამზადებენ დასაფლავებაზედ გამოსაგზავნად.

23 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესი მანიფესტი 21 ოქტომბრის: „დღეს უმაღლესად სახელ-წოდებულს სასძლოსა ჩვენსა წმიდა მირონი სცხეს. ეწოდარა სახელად ალექსანდრა, იგი შეიქმნა ჩვენის მართლ-მადიდებელ ეკკლესიის მხევალი ჩვენისა და მთელის რუსეთის სანუგეშოდ ამ მწუხარების დროს, რომელიც მოგვივლინა უზენაესმა მიუწდომელისა განგებითა თვისითა. გვწამს ჩვენს ერთან ერთად, რომ სულმა საყვარელისა მშობლისა ჩვენისამ ზეციერსა სოფელსა მყოფმა, აკურთხა მისისა და ჩვენის სურვილით ამორჩეული, რათა მორწმუნე და მოსიყვარულე გულით გაგვინაწილოს განუწყვეტელი ზრუნვა ჩვენის სამშობლოს კეთილ-დღეობისა და ბედნიერებისათვის. ყველა ჩვენი ერთგულნი ქვეშევრდომნი ლოცვათა თვისთა შეძოუერთებენ ვედრებასა ჩვენსა. წარმოგვზავნისმცა უფალი კურთხევასა თვისსა ჩვენსა და ნებითა მისითა ჩვენდამო რწმუნებულ ერის ბედსა ზედა. ვაუწყებთ, რა ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა ამა სასურველს ამბავს, ვუბრძანებთ, უმაღლესად სახელ-წოდებული სასძლო ჩვენი, მისი უმაღლესობა პრინცესასუ ლიალისა მოიხსენიონ ხოლმე უკეთილ-მორწმუნესს დიდ მთავრინა ალექსანდრა თევდორეს ასულად იმპერატორებითის უმაღლესობის ხარისხით“.

**პეტერბურგი.** 20 ოქტომბერს საღამოს პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა აახლა მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას დეპეშა, რომლის შესახებაც 22 ოქტომბერს ხელმწიფისაგან შემდეგი პასუხი მოუვიდა: «ვიმყოფებით რა გამოუთქმელსა მწუხარებასა შინა, ხელმწიფე იმპერატრიცასა და მე ნუგეშად ისა გვაქვს, რომ დარწმუნებულნი ვართ, ჩვენის საშინელის მწუხარების მონაწილეა საყვარელი გულისა ჩვენისა თავად-აზნაურობა. გმადლობთ ერთგულ-ქვეშევრდომებით გრძნობათა გამოთქმისათვის».

**ლივადია.** განსვენებულ იმპერატორის სულის მოსახსენებელს პანაშვიდს დღეში ორჯელ იხდიან; იმ საწოლის თავთან, რომელზედაც გვამია დასვენებული, დღე და ღამე მღვდლები სახარებასა კითხულობენ. როდესაც გვამს ეკკლესიაში გადაასვენებენ, მაშინ მკვიდრთაც მიეცემათ ნება თაყვანი სცენ მცხედარსა მიცვალებულისასა.

# ახალი ამბავი

*** ოქტომბრის 21-დგან ყოველ დღე სიონის ეკკლესიაში დღეში ორჯელ საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი პანაშვიდს იხდიდა ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად. 24 ოქტომბრიდგან-კი დღეში ერთხელ იქნება პანაშვიდი გარდახდილი საღამოობით. პანაშვიდს გადაიხდიან ყოველ მართლ-მადიდებლებისა, სომეხთა, კათოლიკეთა და ლოტრანგთა ეკკლესიაში, მაჰმადიანთა მეჩეთებში და ებრაელთა თორაში.

*** გუშინ ფიცი მიიღეს ქალაქის ხმოსნებმა, სახლის პატრონებმა და სხვა-და-სხვა დაწესებულებაში მოსამსახურე მოხელეთა.

*** გუშინ სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა სტეფანოვმა ოფიციალურად აცნობა ბ-ნს გლავაცკის, რომ ექიმმა რეხტზამერმა მტკვრის წყალში, რომელიც ავლაბრის ხიდთან იყო ამოღებული, ოქტომბრის 16 ხოლერის ბაცილები აღმოაჩინაო.

*** გუშინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა დამღა გაუკეთოს ხორცს ქალაქის საყასბოებში. დამღაზე უნდა იყოს აღნიშნული როდის დაუკლავთ საქონელი. თუ რომ ხორცს საყასბოს დამღა არ ექმნება, აშკარა იქმნება ეს საქონელი საყასბოში არ დაუკლავთ და ეს ხორცი ექიმს არ გაუშინჯავს.

*** ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ გუშინ ტფილისში ხოლერით ორი კაცი გარდაცვლილა.

*** 21 ოქტომბერს ტფილისის მიხეილის საავად-მყოფოში მიიტანეს გვამი ორის, უეცრად გარდაცვალებულის დედაკაცისა. ერთი მათგანი სოფიო (გვარი არ იციან) მოასვენეს პოლიციის მე 5 განყოფილებიდგან,

---

დასახელება მარცვლისა „არ“, ნაცვლად ჩვენისა „იარ“. სამწუხაროდ, ეს ერთად ერთი მარცვალია, უამხანაგო, უტოლო, ობოლი. ამაში ჩვენ ახლავე დავრწმუნდებით.

მოკამათე მთელს სამს შეცდომას ჰხედავს შემდეგს ჩემს ფრაზაში: „ერთქა საარაკო სიბრძავემ ხალხის განათლებაში დროით გაძღოლთ მინდობა და იმან დამაგვიანა“.

„დროით“ არვარგა, „დროზედ“ უნდა იყოსო. სცდება: ერთიც კანონიერია და მეორეც. „დროთი მოდი“, „დროით მოდი“, „საღამოთი მოდით“ უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე დროზედ მოდი, საღამოზედ მოდი. თუ არიან იმისთანა დროის მაჩვენებელი სიტყვები, რომელნიც არ იკარებენ დაბოლოებას „ით თი“; სამაგიეროდ სხვა ამ გვარს სიტყვებს სრულიად ეუცხოებათ დაბოლოება-„ზედ“: დღისით და არა დღეზედ, ღამით და არა ღამეზედ. არსებობენ იმისთანა დროის მაჩვენებელი სიტყვებიც, რომელთაც ვერ მოვაბამთ ვერც ერთს ამ დაბოლოებასა; მოდი შუადღისას, სადილობისას, სამხრობისას. აშკარა შეცდომაა აქ შეცდომის დანახვა.

ძლიერ უკადრისად მოქცეულხართ, სიბრმავეს გაძღოლიხართ, უნდა შებრძოლებოდით და არა გაძღოლოდითო, ოხუჯობს ჩვენი გრამატიკოსი. ამ ადგილს სწორედ ჰაობში შეუტოპნია. თუ ქართველი სიბრმავეს იჩენს რომელსამე საქმეში, სწორე გზა დაჰკარგვია, ხრამისაკენ მიდის, უნდა გადიჩეხოს და სხვებიც გადაჩეხოს, როგორ უნდა მოიქცეს მისი მოძმე ქართველი? მგონია, უნდა მივიდეს, ხელი წაავლოს, წინ გაუძღვეს და სწორე გზაზედ დააყენოს. ჩხუბი, ომი, შებრძოლება აქ ნამდვილი უგუნურება და უკადრისობა იქნება. სწორედ ამისთანა შემთხვევა იყო საგანი იმ ჩვენის სამის წერილისა, რომელმაც ჩვენ იძულებული გვყო დაგვეგვიანებია პასუხი ბ-ნი აკაკის წერილზედ და რომელთაც დღის ნათელი ვერ ეღირსათ. საგანი ფრიად საყურადღებო გახლავთ ბ ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ იმ წერილების შინაარსსა.

„ივერიის“ კორესპონდენტი რაჭიდგან იწერებოდა: ჩვენში აქამდის ტაატით მიდიოდა ქართულის წიგნის შესწავლა, რადგანაც ერთ-კლასიანი და ორ კლასიანი სასოფლო სკოლები ქართულს ენას ერთგულად ვერ ეკიდებოდნენო. ახლა-კი ეს საქმე ფეხს აჩქარებსო. შეგნებული ადამიანებას ჩაგონებით შესდგა პრიგოვორები, განაჩენები გლეხთა მიერ: ნორმალური სკოლები დავაარსოთო. ამისთანა მსჯელობა და მოლოდინი კორესპონდენტს მოსვლოდა არა ბოროტ-განზრახვით, არამედ საარაკო სიბრმავით. საქმე ის გახლავთ, რომ სასოფლო სკოლების პროგრამა სავალდებულოდ აღიარებს ქართულს ენას, როგორც საგანსა და როგორც ხერხს, ღონისძიებას სწავლებისასა. ხოლო ნორმალურ სკოლის პროგრამიდგან კი იგი სრულიად გამორიცხულია, გამოკლებულია. თვით საღმრთო სჯული, რომელიც სასოფლო სკოლებში, ოფიციალურის გეგმის მოთხოვნილებით, კურსის დაწყებიდგან დასრულებამდე უნდა მიუცილებლად ისწავლებოდეს ქართულს ენაზედ, ნორმალურს სკოლაში ისწავლება პირველივე დღეებიდგან უცნობ, უცხო ენაზედა. ერთი სიტყვით ფაქტიკური ნაკლულევანების შეცვლას ორგანიულ სენზედ ხალხის განათლებაში კორესპონდენტი ეგებებოდა როგორც სანატრელს და ს სარგებლო მოვლენასა. თვალის ასახილველად მე ვრცლად მქონდა განხილული, თუ რა არის ერთ კლასიანი და ორ-კლასიანი სასოფლო სკოლა, რასა ჰქვიან ნორმალური სკოლა, რა ძირითადი განსხვავებაა მათ შორის, რომელი უფრო შეჰფერის ჩვენის ხალხის ცხოვრებას, რომელი უფრო მავნებელი და დამღუპველია და როგორ უნდა მოეწყოს სასოფლო სკოლების საქმე, რათა იგინი იყვნენ ნაყოფიერნი, გამავრცელებელნი ქართულის წიგნის ცოდნისა, ქართულის მეტყველებისა, ძომფენნი ელემენტარული მეცნიერებისა ხალხში, გამაუმჯობესებელნი ზნეობისა და მეურნეობისა. მე უპირატესობას ვაძლევდი ორ-კლასიანს სკოლებსა, პედაგოგიურს და ეროვნულს ნიადაგზედ დაყენებულსა, სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებითა. ნორმალურს სკოლას-კი უარს ვყოფდი, როგორც შეუსაბამო და უნაყოფო დაწესებულებასა. ერთი სიტყვით, მე თვალს ვუხელდი დაბრმავეულთ მავნებელს შეცდომაზედ და სწორე გზას ვუჩვენებდი. არც რაჭველი კორესპონდენტი და არც სხვა ვინმე კრიტიკოსაც არ დასძრავდა ჩვენის წერილების წინააღმდეგ და ბრძოლას არ მოითხოვდა. ბ-ნს დოდაშვილს-კი მოაჩვენებია, ვითომც მე ჩემს წერილებში დუშმანის სიბრმავეს ვუძღვებოდი წინა და ვაჩვენებდი სწორე და მოკლე გზას ხალხის განათლების უკუღმა დასატრიალებლად. მაგრამ ჩვენი რა ბრალია, რომ მას ბევრი უმზერი რამე მოეჩვენოს. რაც შეეხება სიტყვას, „იმან“ სტამბას ა-ს მაგიერ ი ჩაუსვამს მოკამათის გასახარებლად და კიდეც გაუხარებია.

ჩვენი გრამატიკოსი ბრძანებს: როდესაც სიტყვას დაშლით მარტო ასოებზედ, ამას ფონეტიკური ანალიზი ჰქვიანო; მაგრამ თუ ასოებზედ და მარცვლებზედ დაჰყავით, მაშინ-კი ნება აღარა გაქვთ ამას დაარქვათ ფონეტიკური ანალიზიო. ბავშური ჩხირ-კედელაობა რომ გაგიგონიათ, აი სწორედ ეს გახლავთ მაშ რა ვუყოთ საწყალს მარცვლებსა? ფონეტიკაში ადგილი არა აქვთ, ფონეტიკა ხმებს იკვლევსო; ეტიმოლოგია მათ არ შეუშვებს, ჩემი საქმე სიტყვების განხილვააო, სინტაქსი ხომ შორიახლოაც არ მიიკარებს და საწყალნი მაშინ დაიკარგებიან. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ჩვენს გრამატიკოსს სიტყვების განხილვაში ჩიხი ეპოვნოს და სადღაც ჯანდაბას გადიხვეწნენ საცოდავნი.

ჩვენი გამოთქმა: სხვები დაგვისიოს და თვითონ სეირს უცქიროსო, ბ-ნს დოდაშვილს საწყენად მიუღია. დასევას ძაღლებზედ იტყვიან, ხოლო ჩვენ, როგორც ყველამ უწყის, ღირსეული ადამიანები ვართ ა. ყოვლად უსაფუძლო საყვედურია. მასუკან, რაც მისმა განთქმულმა კლიენტმა თავისს ჭრელს ფიქრებში, სადაც მან გამოილაშქრა ალგიაროზედ, ცაში აიყვანა ძაღლი და ვირი და ბევრად მაღლა დააყენა ადამიანზედ, მისი თანამოკალმესათვის ამ ჩინებული ცხოველების სახელით ხსენება დიდად სასიამოვნო კომპლიმენტს უნდა შეადგენდეს. ხოლო ნე ამ კომპლიმენტის მირთმევა მისთვის სრულიად სახეშ

თავისს ოთახში მკვდარი ენახად და მეორე ანნა ტერ-ოჰანეზოვისა, მოასვენეს პოლიციის მე-8 განყოფილებიდგან. ამათი სიკვდილის მიზეზი არ იციან.

*** თელავი: 21 ღვინობისთვეს თელავის ტაძარში გადავიხადეთ პანაშვიდი მისის უდიდებულესობის ალექსანდრე მესამის გარდაცვალების გამო. შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის სადღეგრძელოდ, და ხალხმა დაიფიცა მისდამი ერთგულება.

*** ს. სურები. აქ ძალიან გახშირდა კოფიანი ძაღლები. ყოველდღე ერთს ან ორს ჰხოცვენ, მაგრამ დღითი დღე უფრო მრავლობს, რასაკვირველია, მათგან დაკბენილებიც ბევრნი არიან. ერთი კვირაა, რაც ერთს მოხუცს კოფიანმა ძაღლმა, მთლად შემოაგლიჯა წვივზე ხორცი, მოიყვანეს მახლობელ სოფლიდგან ვიღაცა ცრუ ექიმი-ქალი, რომელმაც ქირისუფლებს მორჩენის იმედი მისცა და უთხრა: „თხუთმეტამდე წამლობა არ იქნებაო“.

სანამდე საცოდავს ცოფი ძალიანაც მოერევა და მაშინ წამლობა მეტიღა იქნება. დროა ყურადღება მიექცეს ამისთანა მლოცავ ექიმებს, თორემ თავისის წამლობით ბევრი გაგზავნეს უდროვოთ საიქიოს. თვით სოფელ სურებში ბრძანდება ერთი ექიმბაში, რომელიც თავი სტკიოდეს ვისმე თუ ფეხები ერთსა და იმავე წამალს სმევს. ავადმყოფი მართლა ივიწყებს ტკივილს, რადგან მუცელში ახალი, უარესი ჭირი უჩნდება. ეს ვაჟბატონი თითო ბოთლს წამალში კაკალ სამ მანეთს იღებს.

*** დ. ხიდისთავი (გურია) 18 ოქტომბერს ადგილობრივმა მღვდელმა გადაიხადა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის დღეგრძელობისათვის; პარაკლისს დაესწრნენ აქაურის სამრევლო სასწავლებლის მოსწავლენი, რომელთაც იგალობეს ქართულად.

*** ახალ-სენაკი: 16 ამ თვეს, კრება ჰქონდათ ახალის „კლუბის“ დამაარსებელ მამასახლისებს. ამათ უნდა ამოერჩიათ სახლი „კლუბისათვის“. კრებაში თავი იჩინა დას-დასობამ. თითოეული დასი ცალკ-ცალკე იწევდა და ლაპარაკობდა. ესა და ეს სახლია კარგი „საკლუბოდო“. მეორე დასი-კი ამისი წინაამდეგი იყო. ასე და ამ გვარად, 16 ოქტომბერს, მამასახლისების კრებამ უნაყოფოდ ჩაიარა.

*** იქიდგანვე: კვირას, 16 ამ თვეს, აქაურმა პოლიციამ დილით ყველა დუქნები სათითაოდ დაიარა და გამოაცხადა საჯაროდ, დღეის იქით კვირა-უქმე დღეებში თორმეტ საათამდის დუქნების კარები არავინ გააღოს და ივაჭროს, თორემ კანონით ყველა დაისჯებაო. ეს ამბავი ყველამ დიდის სიხარულით მოისმინა. მას აქეთ, აქაურ ნოქრების სიხარულს საზღვარი არა აქვს. კარგი იქმნება, აგრეთვე პოლიცია მიაქცევდეს ყურადღებას ბერძნების თავ-გასულობას, რომლებიც კვირა-უქმე დღეებში ანიავებენ თავიანთ მაღაზიებში ქირ-ნახულსა.

*** გომი: 22 ოქტომბერს 195 ვერსზედ სახალხო მატარებელი დაეჯახა პატარა მუშა ვაგონს, რომელზედაც რამდენიმე მუშა და უფროსი ზედამხედველი ანდრო გორდაძე იჯდა. გორდაძემ გადმოსვლა ვერ მოასწრო და მძიმედ დაშავდა.

*** ქუთაისის ნოქართა შუამდგომლობას, რომ კვირა-უქმეობით ვაჭრობა არ იყოსო, ზოგიერთ ვაჭარიც შეუერთდა. ამ საგანს როგორც გაუგონია გაზეთ „ნოვ. ობოზ.“, ქუთაისის საბჭო ამ დღეებში განიხალავს. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ქუთაისი გულ-კეთილობით სხვა ქალაქებს არ ჩამორჩება და ნოქრებს კვირა-უქმე დღეობით ვაჭრობისაგან განათავისუფლებს.

*** გაზეთ „Нов. Вр.“ გაუგონია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრთა კომიტეტში წარადგინა წინადადება იმის შესახებ, რომ იმიერ კასპიის ქალაქებში საქალაქო დებულება იქმნას შემოღებულიო.

*** 22 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზედ პოლიციელმა სტუპაკოვმა აქიმოვის ქუჩაზედ შუა ბაზრისაკენ მიმავალი ორი კაცი შენიშნა, რომელთაც ტომრებით რაღაც მიჰქონდათ. პოლიციელის დანახვაზედ უკან დაბრუნდნენ და გაიქცნენ. პოლიციელი გაეკიდა, დაეწია ექიმების ქუჩაზე, ჩაავლო პალტოში ხელი, მაგრამ პოლიციელს პალტო ხელში შერჩა და გაიქცა თავისს ამხანაგით. მაგრამ პოლიციელი კიდევ გამოუდგა, ორივენი შეიპყრო და პოლიციაში წარადგინა. ტომრებში აღმოჩნდა დაუბაქველი ჩაი. დამნაშავენი არიან შუშის მცხოვრებელნი აბაზ-ჯაფარ-ოღლი და აზად-მუქირ-ოღლი.

*** 23 ამ თვისას ჩითახოვის ქარხანის მახლობლად მტკვრის პირას იპოვნეს დამრჩვალის კაცის გვამი. დამრჩვალი მუშა რუსი უნდა იყოს.

*** 22 ამ თვისას სიონის ქუჩაზე ბოქაულის თანაშემწეს სიტოვსკის კიევის გუბერნიის მცხოვრებელმა აზნაურმა ადოლფ კრიჟანოვსკიმ გამოუცხადა, რომ მე და ჩემი ამხანაგი პეტრაკოვსკის გუბერნიის მცხოვრებელი ადოლფ დობროვოლსკი, მედვედსკის ოლქის მცხოვრებლის გლეხის ქალის აკულინა გორევენკოთი 22 ოქტომბერს ქუთაისიდგან ჩამოვედით იმ განზრახვით, რომ ვაჭრობის დროს მაღაზიიდგან მოგვეპარა საქონელი და მეორისათვის მიგვეყიდნაო. ამ საქმეში დავხელოვნდით ტფილისში ცხოვრების დროს. ვის რა მოვჰპარეთ და მივჰყიდეთ, გვარები არ ვიცი და ისე კი გაჩვენებთო. ეს კაცი შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

*** 23 ოქტომბერს საღამოს 9 საათზედ პოლიციის მერვე ნაწილში ტფილისის მცხოვრებელნი ივანე კამინი და ანტონ კაიდაკოვი თავს დაეცნენ ტამბოვის მცხოვრებელს გაბრიელ რომანოვს, წაართვეს 25 მან და ვერცხლის საათი და გაიქცნენ. კაიდაკოვი პოლიციელმა შეიპყრო, კამინი-კი გაიქცა და თან წაიღო 25 მინეთიც.

## კორესპონდენცია

**მცხეთა.** აქ წელიწადში ერთი უფრო შესანიშნავი დღეასწაული მოდის, ეს არის სვეტი-ცხოვლობა ანუ «მცხეთობა», როგორც ხალხშია მიღებული. ამ დღისათვის მცხეთელები ორი-სამის თვის წინად ემზადებიან: ზოგი დუქანს ჰმართავს, ზოგი ეტლს ამზადებს, ზოგი სახლებს. ერთის სიტყვით, ყველა სცდილობს, რომ ამ დღეობიდგან რითაც-კი შეიძლება ისარგებლოს. მაგრამ დარჩნენ ისეთნიც, რომელთაც ვერაფერი მოასწრეს ამ სადღეობოდ. რა ჰქნან? ნუ თუ ამათ სეირს უყურონ, როცა სხვები სარგებლობენ? მაგრამ დახე მოხერხებას. ა ათ, რიცხვით ოთხმა კაცმა, მისცეს მამასახლისს წინადადება: ორ თუმანს სასოფლოდ შემოვიტანთ და ნება გვქონდეს, რომ ვინც უცხო მოვიდეს მცხეთაში სავაჭროდ, ყველას ცოტაოდენი ბაჟი გამოვართვათო. ეს წინადადება დიდის სიხარულით იქმნა მიღებული, და დაიწყეს კიდეც მოქმედება ამ უცნაურმა იჯარადრებმა. ყველას წაართვეს და წაჰგლიჯეს, რაც შესაძლო იყო, მენემსეებიდგან დაწყებული მეეტლეებამდე. სასაცილო იყო და მასთან სამწუხარო, როცა ეს უსირცხვილო იჯარადრები თავიანთის ბალანებით გლახასავით ვაჭრისაგან ვაჭართან გადადიოდნენ.

ბალანები ამ შემთხვევაში მებარგულეთა ჰყავდათ და იმათის შემწეობით თავიანთ ადვილ მონაგარს შინა ჰგზავნიდნენ. მივიდნენ ახლა მეღვინეებთან, სვამდნენ ღვინოსა, რაც-კი შეიძლება ჩაისხას კაცმა სტომაქში, რასაკვირველია, უფასოდ, ბაჟში. იქიდგან ღვინით გაბრუჟულნი უხვდებოდნენ მეეტლეებს და ართმევდნენ რაც მათი სურვილი იყო.

ერთი გაქანებული ეტლი შეაყენეს, რომელიც მატარებლისკენ მიეშურებოდა. შეუხტა შიგ ვიღაც ტუშურაშვილი და მთვრალი ფულსა სთხოვდა. ეტლში ერთი კეთილშობილი ქალი იჯდა — ჯერ ყვირილი მორთო „მიშველეთო“, მაგრამ ვინ მიეშველებოდა, იჯარადრები იყვნენ ფულსა სთხოვდნენ, მერე გაცხარებულმა ჰკრა ხელი და გულდაღმა ტუპანი მოადინა მიწაზედ, რის გამოც იქ მდგომმა ხალხმა თანაგრძნობის ნიშნად ხარხარი მორთო. ბევრი მათგან დაწიოკებული მოჩივარი მამასახლისთან მიდიოდნენ საჩივრად, მაგრამ პასუხი ისევ ის იყო: „იჯარითა აქვთ აღებულიო“.

ერთი კიდევ სამწუხარო ამბავი მცხეთის ახლო-მახლო სოფლელები, ქალაქში მიმავალნი, გზის სიმოკლის გულისთვის «საბაჟოს» სცდებიან და მცხეთაზედ არაგვში გააქვთ თავიანთი ურმები.

სწორეთ იქ, საცა სოფელი თავდება და იწყება არაგვი, საშინლად დაქანებული და უსწორ-მასწორო გზა არის, ასე რომ ცალიერს ურემსაცკი უჭირდება ჩასვლა: აი აქ უხვდებიან მცხეთელები ყაჩაღებივით, აუწევენ ხოლმე ურემს ერთ მხარეს და გადააბრუნებენ. მერე დაეხვევიან კაცი თუ დედაკაცი და სულ დაიტაცებენ, რაც ურემზედ რამ ედო. გულ-მოკლული და თვალ-ცრემლიანი გლეხი, უყურებს და არ იცის ურემი იჩივლოს, თუ საქონელი.

ნუ თუ მცხეთაში არ არის პატრონი ან უფროსი, რომ ასეთის ცხადავაზაკობის მოსპობა შეეძლოს.

ა. მ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მკითხველებს ეხსომებათ, რომ სამეურნეო მინისტრის ერმოლოვის ქუთაისში ყოფნის დროს მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა თ-მა ვ. მიქელაძემ. ამ სიტყვაში ორატორმა ქართველ თავად-აზნაურთა ორი უმთავრესი მოთხოვნილება ესე დასახა: სახნავ-სათესი ადგილი, რადგან რაც უჭირავთ ძალიან ცოტა; მოეცით სამეურნეო განათლება, რომ იმ მიწებს კარგად მოუარონო. მაშინ თავად აზნაური დიდის სიამოვნებით გასცვლის ხმალს გუთანზედ და ამითი სახელმწიფოს მშრომელი ძალ მიემატებაო. გაზ. Недѣля-ში ვრცე-

არა მქონია.

მაგრამ მსხვილი, ზორბა, მტკნარი ჩემი უვიცობა წინ არის. მე იმ აზრისა ვიყავი, რომ ყველაფერი კარგად გამეგება, რაც იაკობ გოგებაშვილმა იცის. მან, მაგალითად, ოცის წლის წინედ დაბეჭდა მასწავლებელთათვის დარიგება, სადაც, სხვათაშორის, ცხადად იყო ახსნილი, თუ რა არის ხმა და ასო, როგორ უნდა შეაგნებინონ ბავშვებს განსხვავება მათი, შეერთება და დაშლა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ დამწერზედ დაკლებად არ მესმოდა ეს საგანი, ბოლო ბ-ნმა დოდაშვილმა დღესავით ცხადად დამიმტკიცა, რომ მე არამც თუ ის არ ვიცი, რაც გოგებ შვილმა დიდი ხანია სხვას გაუზიარა, თურმე იმის გაგებაც არა მქონია, რაც შეგნებული აქვს ყველა შვიდის წლის მოსწავლესა, სკოლაში ორს-სამს თვეს დამყოფსა. თურმე დომხალივით ვურევ ერთმანეთში ხმებსა და ასოებსა და ვერ გამირჩევია ერთი მეორისაგან. დახე ჩემს საარაკო უვიცობასა! მე ვხმარობ: „კეთილ ხმოვანი ასო, ბ-ნი დოდაშვილი საფუძვლიანი და სამართლიანი აღშფოთებით მამტყუნებს: ასოს განა ხმა აქვს? ხა! ხა! ხა! რა არის ასო? მახაზულობა, ფიგურა ასული და უგულო, მოკლებული ნაზს ხმასაცა და ბოხსა. დროა, ბატონებო, ტრაგიკულად გაჰკივის იგი, შევიტყოთ, რა არის ხმა და რის გამომხატველია ასო. და გვატყობინებს ბ-ნი დოდაშვილი ამ დიდსა, ყველასათვის მიუწდომელს ჭეშმარიტებასა. მაშ, რიღას ახალი გრამატიკოსი ყოფილა, თუ ამისთანა საგრამატიკო ამერიკებს არ აღმოაჩენს.

უბედო კოლუმბი! ყველასაგან მიღებული მეტაფორების ხმარება მას უვიცობად მიაჩნია და იმდენი ვერ მოუაზრებია, რომ ამითი ამტკიცებს ან საკუთარს ბავშურს უვიცობას, ან არა და კოჭლობას კეთილ-სვინიდისიანობაში. მართლა და განა ქვეყანაზედ იპოვით იმისთანა გრამატიკას რომელს ენაზედაც გნებავთ, რომ ასეთი ფრაზები არ იყოს შიგა: ხმოვანი ასონი, თანხმოვანი ასონი? განა ყველანი არა ხმარობენ ამისთანა გამოხატულებას: ტუჩის მიერნი ასონი, სასის მიერნი ასონი, კბილის მიერნი ასონი, ხახის მიერნი ასონი? მაშ ყველანი უვიცნი ყოფილან. აქ სიმოკლის გულისათვის იხმარება ის მეტაფორა, რომელიც ნიშანს ასახელებს აღმნიშვნელის მაგივრად — (знакъ вмѣсто значимаго). ქართული და ყველა სხვა ენა სავსეა ამისთანა მეტაფორებითა: ივანეს კალამი უჭრის, პავლე ტკბილი ენის პატრონია, ნიკოს მადლიანი ხელი აქვს. ჩვენს გრამატიკოსს რომ გავყვეთ, ამისთანა ფრაზებზედ ხელი უნდა ავიღოთ, რადგანაც კალამს არც ჭრა შეუძლიან და არც კერვა, ენა არც ტკბილია და არც მჟავე, ხელს არც მადლი აქვს და არც ცოდო. რუსულს ენაზედ სწერენ და ამბობენ: гласныя буквы, согласныя буквы; іеръ твердый, іеръ мягкій და სხვანი. მაშ ეს სულ მტკნარი უვიცობა ყოფილა, რადგანაც იერს არც მაგარი ხმა აქვს და არც რბილი. განა მართლა იმდენად შეუგნებელია ბ-ნი დოდაშვილი, რომ ეს არ იცოდეს? ცოდნით როგორ არ იცის, მაგრამ წყენა და გათახსირება მოუწადინია იმისი, ვინც მას სრულიად არ იცნობდა და მის შესახებ დღევანდელ დღემდე არ უთქვამს არც კარგი და არც ავი. რად მოუწადინია? რათა აამოს იმათ, ვინც სხვისი გათახსირება მოინდომეს და თვითონვე კი გათახსირდნენ.

სწორედ ეს არის მიზეზი იმისი, რომ გიფაციცებით ეძებს შეცდომებსა და რომ ვერა პოულობს, სიტყვებს ებღაუჭება, აზრს ასხვაფერებს, შარებს იგონებს და წამდაუწუმ ისვრის: „უვიცობა“, „მტკნარი უვიცობა“. ხოლო ამისთანა საქციელს ძლიერ ცუდი სახელი ჰქვიან და მას არას დროს არ ჩაიდენს კარგი ჰკუის და ნამუსის პატრონი...

სადამდის მიდის შარის სიყვარული ჩვენის გრამატიკოსისა, სჩანს შემდეგიდგანაცა: ერთს ტირადაში, რომელსაც თხუთმეტი სტრიქონი უჭირავს, ხუთჯერ ნახმარია „ხმოვანი და მხოლოდ ერთხელ «ხმიანი». ჩვენს მოკამათეს ხუთს შემთხვევაზედ თვალები დაუხუჭნია, მხოლოდ ერთზედ გაუჭყეტნია, ჩაბღაუჭებია და უვიცობას მიკიჟინებს. აგრეთვე ნახმარი მაქვს: „უხმო ხმები, ანუ ნახევარ-ხმები“. ბ-ნს დოდაშვილს მეორე ნახევარი მოუგლეჯია დაუმალავს და ბუქნას უვლის, უაზრობაში დავიჭირეო.

ერთს ჩვენს წერილში გაკვრით აღვნიშნეთ ის მხარეები ჩვენის ენისა, რომელნიც აძლიერებენ მის კეთილხმოვანებასა და მოვიხსენე ის გარემოება, რომ ორი ასო: ყ და ჯ ამცირებენ მეთქი ამ კეთილხმოვანებასა. ამაზედ აი რასა ბრძანებს ბ-ნი დოდაშვილი: «როგორ უნდა გამოვიცნათ, რა იქმნება ხახის ასო? ნეტავი ვიცოდეთ, სარკის საშუალებით დავინახავთ ხახის ასოსა?» რათა სხვას უვიცობა დააბრალოს. თავს არა ზოგავს და დაუჯერებელს უვიცობას იბრალებს. თქვე კაი კაცო და რასაჭიროა აქ სარკე, როდესაც ყველა გრძნობს, რომ ასოს ყ-ს გამოთქმის დროს ხახას ამოძრავებს. იგი განაგრძობს: „სად გაგონილა და ვის ამოუკითხავს როდისმე ფონეტიკიდგან, გარდა სიმონიძისა, რომ ჯ ხახის დახმარებით სწარმოებდეს“. ხახის დაუხმარებლად ყოვლად შეუძლებელია ამ ასოს გამოთქმა. მართალია, სასაც იღებს მის გამოთქმაში მონაწილეობას; მაგრამ ჩვენ ეს გარემოება არ მოვიხსენეთ მოკლედ მოჰრასათვის და ჯ მოვაქციეთ ერთს ტაფაში ასოსთან ყ. რადგანაც კეთილხმოვანებაზედ გვქონდა მსჯელობა და სრულიად მოკლებული ვიყავით წადილსა წავვეკითხ ლექცია ქართულს ფონეტიკაზედა.

ბოლოს ჩვენი კრიტიკოსი ამბობს: „არ ვიცით, რა მიზეზით განრისხებია ავტორი (ესე იგი მე) ორ ბგერასა ყ და ჯ და უცვნია იგინი ენის მაზიანებლად?“ აქ გაწყრომას რა ხელი აქვს? მე ვამბობდი: ეს ორი ასო რომ არ ამცირებდეს ქართულის ენის კეთილხმოვანებას, მას არც ერთი ენა არ ემჯობინებოდა, კეთილხმოვანებით და ამისი საბუთებიც მოვიყვანე. ხოლო რამდენად მაზიანებელია მეტადრე ასო ყ კეთილხმოვანებისათვის სჩანს იქიდგანა, რომ ზოგი ლინგვისტი ამ ასოს წყალობით ქართულ ენას ერთს ტაფაში ათავსებს ველურ მთიულ ენებთანა (причисляетъ къ грубымъ горскимъ языкамъ).

იაკობ სიმონიძე

(დასასრული იქნება)

ლი წერილია დაბეჭდილი ამ სიტყვების შესახებ. იგი ამით ამტკიცებს, რომ შიდა რუსეთში თავად-აზნაურობის გაღარიბების მიზეზი უმიწო წყლობა და გაუნათლებლობა არ არისო.

შიდა რუსეთის თავად-აზნაურობაო, ამბობს „Недѣля" მდიდარია მიწა-წყლით, მხოლოდ ამ მიწაწყალს იშვიათად თუ მუშაობს თვით პატრონი. უმეტესად იგი შუამავალია მიწისა და მიწის მოქმედის შორის, ამ შუამდგომლობით უმრავლესი მოგება იმასა რჩება და მუქთად სცხოვრობს. უმთავრესი მიზეზი, რომელიც შრომაზედ ხელს აღებინებს, თვით სათავად-აზნაურო შესისხლ-ხორცებული აზრია, რომ კეთილშობილი წოდება ყოველთვის თავისუფალი იყო უბრალო შრომისაგან; ის თავადი, ან აზნაური, რომელიც გუთანს უკან მისდევს, ხომ აღარ განირჩევა გლეხისაგანაო. ძალიან დიდად გაუნათლებელი უნდა იყოს რუსეთის თავად-აზნაურობა, რომ გუთნის ხელში დაჭერა იკადროს. ზოგიერთნი რიურიკის შთამომავალნი, (მაგალითებრ თავადნი როსტოვები, ეხლაც-კი ქალამნებით დადიან) თუ-კი რაიმე ღონის მიება მიეცემა, რომ თავიდან მოიშოროს უბრალო შრომა, თავად-აზნაურობა დიდის გულმოდგინებით სცდილობს. ხოლო აქ არ თქმა უნდა, რომ ეს თავადური ამაყობა არ ყოფილიყო და კეთილშობილისაგან არ გაეწია ცრუ-თავმოყვარეობას, თავად-აზნაურთა და მიწის შორის უფრო მჭიდრო კავშირი იქნებოდაო.

კანონი „კეთილ-შობილობას" მხოლოდ თავად-აზნაურს აკუთნებდა. დანარჩენ წოდებათა-კი, რომელიც ერის უმრავლესობას შეადგენდა, „ბრიყვს „(Подлый)" უწოდებდა, ცხოვრებამ, რასაკვირველია, ეს დამკვიდრებული მცნება შესცვალა, მაგრამ იგი მაინც უთანხმოებასა ჰბადავს ხალხში ზნეობასა და სოციალურს დამოკიდებულებაში, ამ უთანხმოებას დიდი ვნება მოაქვს. მრავალ რიცხოვან-კი არის თავად-აზნაურობასათვის. მათ წყალობით ეს წოდება მართებულად ვერ ჰგიდებს თავისს აწმყო მდგომარეობას, რაღაც აუსრულებელს იმედსა და ოცნებას ეძლევა, რის შედეგიც მისი უთვალოდ გაღარიბება. უეჭველია გლეხების რიცხვი შემცირდებოდა, ღარიბს ხალხს შესისხლ-ხორცებული რომ არა ჰქონოდა ის აზრი, რომ მე თავადი, ან აზნაური ვარ და სირცხვილია ხელში გუთანი და ცული დავიჭიროვო.

რაღა თქმა უნდა რუსულ გაზეთს კარგად ექმნება შემჩნეული ღარიბ თავად-აზნაურთა ცხოვრებაში ეს მოვლენა. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენშიაც ზოგიერთებს ასეთივე ცრუ თავ-მოყვარეობა არ ჰქონდეთ, მაგრამ სიმართლე-კი მოითხოვს რომ ჩვენში უმრავლესობა ღვნიშნოთ, მეტადრე აზნაურების ოჯახები, არა თაკილობენ პატიოსანს სოფლის შრომას და მხნედ ჰმუშაობენ.

## პრეზიდენტ კლეველანდის აზრი ხელმწიფე იმპერატორის ავადმყოფობის შესახებ.

ლონდონის გაზეთებს დეპეშით სწერენ ნიუორკიდგან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა კლეველენდმა ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა წინაშე ხელმწიფე იმპერატორის ავად-მყოფობის შესახება სთქვა, რომ „მეფის სნეულებას მე სწორედ რომ საერთაშორისო უბედურებადა ვსთვლიო. ეჭვს გარეშეა, რომ მეფე თვისით წარმოადგენს დიდებულს სახეს ძლიერებისა და მშვიდობიანობისას. და აი ამიტომ ამის მეფობა ევროპის ერთა ისტორიამ დიდის მადლობით უნდა მოიხსენიოსო".

## სასამართლოს მატიანე

—

მ. მეჟევიძისა და მიტროფანოვის საქმე

21 ღვინობისთვეს საღამოს ექვსს საათიდგან ოლქის სასამართლოს განყოფილებამ დაიწყო ბ-ნ ს. მიტროფანოვის და გ. მეჟევიძეს საქმის რჩევა. მეჟევიძე უჩიოდა მიტროფანოვს, რომ მაგან მოიწადინა ჩემი მოკვლა და თავისის წადილის აღსასრულებლად მესროლა რევოლვერიო.

აი ამ საქმის გარემოება, გამოძიების მიერ აღმოჩენილი: ამა-ვე წლის 30 მკათათვეს თელავის სასეირნო ბაღში მსხდარან მიტროფანოვი, ი. მ—შვილი, ი. მ—ვი და სხ. ბ. მიტროფანოვი ქართულად ლაპარაკობდა და რადგანაც კილო ვერა ჰქონდა რიგიანი ქართული, იმასთან მობაასენი იცინოდნენ თურმე. ამ დროს გაიარა მათ წინ მეჟევიძემ და შეეკითხა: „რას ყბედობსო?" მიტროფანოვს სწყენოდა მეჟევიძესაგან ამ გვარი შეურაცხება და ეკითხნა: რა ნება გაქვს, რომ შეურაცხყოფას მაყენებო?" „აი რა ნება მაქვსო" ეთქო მეჟევიძეს და თან სილა გაერტყა. მიტროფანოვი სკამიდგან გადავარდნილიყო, მხოლოდ მეჟევიძესთვის ი. მ—შვილს ეტაცნა ხელი და შეეყენებინა. პირველს ხანჯალი ამოეღო და მიწეულიყო ი. მ—შვილისკენ, რომელიც ამოღებულ ხანჯლითვე დაჰხვედროდა და თანაც ეთქვა: „ჩააგე ხანჯალი, თორემ ლუკმა-ლუკმა დაგკუწავო!" მეჟევიძეს ჩაეგო ხანჯალი. ამ დროს მიტროფანოვიც მიუახლოვდა თურმე მეჟევიძეს და შეეკითხა: „რა დაგიშავე? სილა რად გამარტყიო?" მეჟევიძეს ხმა არ გაეცა. მიტროფანოვს ეს სიტყვა რამდენჯერმე გაემეორებინა. ბოლოს მეჟევიძეს ეთქვა: „ჩემი ნება იყოო!" „მაშინ თუ შენი ნება იყო, მაშ ახლა ჩემი ნებააო", ეთქვა მიტროფანოვს და სამაგიერო სილა გაერტყა. მეჟევიძე წატორტმანებულიყო, ხანჯალი ამოეღო და მიტროფანოვისკენ გაქანებულიყო. მიტროფანოვი გაჰქცეოდა, გაქცეულს რევოლვერი ამოეღო და ალალ-ბედზედ მეჟევიძესკენ გაესროლა. ტყვია მეჟევიძეს მოხვედროდა შიგ კბილებში და ჩაემტვრივნა ოთხი კბილი.

ოლქის სასამართლომ გაარჩია ეს საქმე და მიტროფანოვი სრულიად გაამართლა.

სხვათა შორის მეჟევიძე უჩიოდა მიტოფანოვს ზარალს, რომელიც მოუვიდა ავადმყოფობის გამო. ოლქის სასამართლომ მეჟევიძის ეს საჩივარიც არ შეიწყნარა. აქაური საზოგადოება ამ განაჩენით ძლიერ ნასიამოვნები დარჩა, რადგანაც მიტროფანოვმა დაიმსახურა აქ სახელი პატიოსან კაცისა. იგი არის თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად და სინდისიერადაც აღსრულებს თავისს მოვალეობას. ხალხი ბლომად დაესწრო ამ საქმის გარჩევას.

ვ. მცხეთელი

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მოგეხსენებათ, რომ ქუთაისის ქართული თეატრი მთელის თვისის მოწყობილობით და სამკაულით ცეცხლმა იმსხვერპლა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამწუხარო ამბავი გულს დასწყვეტავდა ქართულის თეატრის ყოველს მოყვარეს. მოსპობა ქართულის თეატრისა საქართველოს მეორე დედა-ქალაქში, თუნდ ერთის წლით, დიდი დასაკლისია ქართველობისათვის, ამიტომ ჩვენი ვალია, ვისაც რითი შეგვიძლიან დავეხმაროთ ამისთანა საქმის აღდგენას. გიგზავნით ამასთანავე სამს მანეთს და გთხოვთ გადაეცეთ ქართულს დრამატიულს საზოგადოების მმართველობას იმ აზრით, რომ ეს ჩემი შეძლებისამებრ მოწვდილი მცირედი წვლილი მოახმარონ ზემოხსენებულს საქმეს—ქართულის თეატრის აღდგენას ქუთაისში. იმედი მაქვს, რომ ჩემს გარდა ბევრნი სხვანი გამოჩნდებიან ჩვენ შორის იმისთანანი, რომელნიც არ დაიშურებენ თითო ოროლა მანეთს, მცირეოდენი ფული მოგროვდება და იქნება ისეთი თანხაც შესდგეს, რომელიც კვლავ ფეხზედ დააყენებს ისეთს ყოვლად სასარგებლო საქმეს, როგორიც არის ქართული თეატრი ქუთაისში.

მიხეილ კვალიაშვილი

## პეტერბურგის ბირჟა, 18 ოქტომბ.

| | მიმცემ-ლისა. | მყიდ-ველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | 7,48 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148¾ | 149¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 237½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 217 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | 101½ |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101½ |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 96½ | — ,, |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ბურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

С. ПЕТЕРБУРГСКОЙ ТЕХНО-ХИМИЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРІИ.

ტიმოლოვის ელექსირი კბილებისთვის. ტიმოლევის ფხვნილი კბილებისთვის. ერიდეთ სიყალბეს და უეჭველად მოიკითხეთ ის საგნები, რომელსაც ჩვენის ქარხნის მარკა აქვს, მთავრობის მიერ დამტკიცებული.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П.Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—3—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების"

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . . | „ | 15 |

—

# „ივერია"

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით. . . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდველ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქციის იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


Дозволено цензурою Тифлисъ, 21-го Октября 1894 г.   სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა   რედაქტორი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.